სამაუწყებლო კომპანია ფორმულას

მის: ქ.თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი 46

ელ. ფოსტა: legal@formula.ge.

formulanews@formula.ge

ბაკურ კიღურაძისა (პ/ნ 01024016049)

მობ: 599442222 ელ.ფოსტა bakurkiguradze@gmail.com

წარმომადგენლის

ადვოკატ გოჩა სვანიძის (საა სიითი #0579)

მობ. 577457763 ელ. ფოსტა gocha.svanidze@gmail.com

# საჩივარი

/2022 წლის 5 თებერვლის გადაცემა "შაბათის ფორმულა"-ში გასული სიუჟეტის გამო/

2022 წლის 5 თებერვალს, სამაუწყებლო კომპანია ფორმულას ეთერში გავიდა გადაცემა „შაბათის ფორმულა", რომლის ერთ-ერთი სიუჟეტიც, მასში გავრცელებული მცდარი ინფორმაციის თანახმად ეხებოდა მოქალაქე ბაკურ კიღურაძის საკუთრებაში არსებულ, რევაზ თაბუკაშვილის 27 ნომერში მდებარე უძრავ ქონებას და მასში განხორციელებულ არქიტექტორულ-რესტავრაციულ სამუშაოებს.

სინამდვილეში აღნიშნული ქონება წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „უტა"-ს საკუთრებას, რომლის შესახებაც ინფორმაციის გადამოწმება სიუჟეტის გასვლამდე სიუჟეტის ავტორისათვის არანაირ პრობლემას არ წარმოადგენდა საჯაროდ ხელმისაწვდომი გზების გამოყენებით. ზემოხსენებული ინფორმაციის დამალვას, გარდა ფაქტობრივი უსწორობისა, როგორც ირკვევა, გააჩნია ის დატვირთვაც, რომ გასული სიუჟეტის რეალურ მიზანს წარმოადგენდა არა საზოგადოებისათვის გარკვეული ტიპის რეალური ინფორმაციის მიწოდება თაბუკაშვილის 27 ნომერში მდებარე უძრავი ქონების შესახებ, არამედ მოქალაქე ბაკურ კიღურაძის, როგორც ქართული ოცნების მხარდამჭერის მიმართ მტრული, დამამცირებელი და ღირსების შემლახავი გარემოს შექმნა და ასეთ მტრულ არა ობიექტურ ქმედებებს უკვე განმეორებითი ხასიათი მიეცა ტელეკომპანია „ფორმულას" მხრიდან (იხ. ტელეკომპანია ფორმულას 2020 წლის 29 მაისი სიუჟეტი „ბაკურ კიღურაძე ერთ-ერთია შემწირველებს შორის, რომელმაც ქართული ოცნება 50 000 ლარით გაამდიდრა")

ზემოთ გაჟღერებულ მოსაზრებას ამყარებს ის გარემოებებიც, თუ რა გზებითა და საშუალებებით მოხდა გადაცემაში გასული კადრებისა და რესპოდენტებთან ჩაწერილი ინტერვიუების მოპოვება, კერძოდ:

სიუჟეტის ავტორი სამი დღის განმავლობაში ცდილობდა შპს „უტა'-ს საკუთრებაში არსეულ შენობაში შეღწევას, (ამ მიზნით მას ჰქონდა ურთიერთობა შპს „უტა'-ს პარტნიორებთან, თანამშრომლებთან, მეზობლებთან და სხვა პირებთან) რაზეც მას მრავალგზის უთხრეს უარი, იმ საფუძვლით რომ შენობაში მიმდინარე სამუშაოებისათის მოწყობილი ხარაჩოები არ იძლეოდა სტუმართა მიღების საშუალებას მათივე უსაფრთხოების მიზნით.

მიუხედავად ამისა, სიუჟეტის ავტორის მხრიდან მაინც მოხდა თვითნებურად, სხვადასხვა წყაროებიდან ავტორებთან შეთანხმებისა და მათი თანხმობის გარეშე შენობის ინტერიერის ფრაგმენტული ფოტო და აუდიო-ვიდეო კადრების ( სხვისი ინტელექტუალური საკუთრების ) უნებართო მოპოვება და ეთერში გაშვება, შემდეგ კი მათი მეშვეობით დამახინჯებული ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისათვის.

კერძო საკუთრებაში (იგულისხმება ეზო) უკანონო შეღწევასთან ერთად, ჟურნალისტის მხრიდან ადგილი ჰქონდა ფარულ აუდიო-ვიდეო ჩაწერას შპს უტას კუთვნილი ტერიტორიის ფარგლებში, მაშინ როდესაც შპს"უტა"-ს პარტნიორს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ქეთევან გოგიულაშვილს ესაუბრებოდნენ და ეს პრივატული საუბარი ფარულად ჩაწერეს და ეთერში გასული სიუჯეტის ნაწილად აქციეს.

სიუჟეტის მომზადების პროცესში განხორციელებულ, ჟურნალისტის პროფესიულ ეთიკასთან შეუთავსებელ ქმედებებთან ერთად, 2022 წლის 5 თებერვლის გადაცემაში, მრავლად შეინიშნება ქმედებები, რომლებიც ასევე ეწინააღმდეგება როგორც პროფესიულ სტანდარტებს, ასევე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებს.

განსახილველ გადაცემაში, გადაცემის წამყვანისა თუ უშუალოდ სიუჟეტის ავტორის მხრიდან მრავლად ჰქონდა ადგილი ქმედებებს, რომლებიც როგორც უკვე აღინიშნა, ერთის მხრივ არ შეესაბამება ჟურნალისტის პროფესიულ ეთიკას, სამართლებრივ სტანდარტსა თუ ზნეობრივ ნორმებს, მეორეს მხრივ კი მტრული და დამამცირებელი გარემოს შექმნასთან ერთად ლახავს პიროვნების ღირსებას. ჟურნალისტი უხეშად არღვევს ბაკურ კიღურაძის მიმართ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გათვალისწინებულ ნორმებს და მას უგემოვნებო პიროვნებად მოიხსენიებს, როგორც ჭრელა ჭრულა ნახატების დამკვეთს და უამრავ უცხოელ პერსონებს ადარებს ნეგატიურ კონტექსტში.

კერძოდ:

2022 წლის 5 თებერვლის გადაცემა ეხებოდა რევაზ თაბუკაშვილის 27 ნომერში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის უძრავ ძეგლსა და ვითომდა მისი ისტორიული მნიშვნელობის დაზიანებას მისი ამჟამინდელი მესაკუთრეების მხრიდან. როგორც უკვე

არაერთგზის აღინიშნა, რევაზ თაბუკაშვილის 27 ნომერში მდებარე უძრავი ქონების მესაკუთრეს წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „უტა", გადაცემის მსვლელობისას კი ასეთად დასახელებულია ბაკურ კიღურაძე და სიუჟეტის კონტექსთან სრულ შეუსაბამობაში გავრცელებულია არასრული, მათ შორის არასწორი ინფორმაცია ბაკურ კიღურაძის პიროვნების მიმართებით.

გადაცემის მსვლელობისას, ბაკურ კიღურაძის მიმართ არაერთგზის გაჟღერდა ინფორმაცია წარსულში მისი მიმართ არსებული ჯაშუშობის ბრალდების შესახებ, მეტიც, უშუალოდ სიუჟეტის მსვლელობისას, სიუჟეტის ავტორი ბაკურ კიღურაძეს ახლანდელ დროში მოიხსენიებს ჯაშუშობაში ბრალდებულ პირად. ამასთანავე, ბაკურ კიღურაძის პატიმრობიდან გათავისუფლებას სიუჟეტის ავტორი პოლიტკიკური პარტია ქართული ოცნების ქმედებად წაარმოაჩენს ისე, რომ არ საუბრობს საქართველოს პარლამენტის მიერ ბაკურ კიღურაძისათვის პოლიტიკური პატიმრის სტატუსის მინიჭებასა და შემდგომში ქალაქ თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ ამ უკანასკნელის წაყენებული ბრალდებისაგან სრულად გამართლების შესახებ.

ბაკურ კიღურაძის მიმართ ცრუ და დამახინჯებული ფაქტების გაჟღერებასთან ერთად, სიუჟეტის ავტორი მას ბრალს სდებს კულტუტული მემკვიდრეობის ძეგლის განადგურებაში, ისე, რომ სიუჟეტში არ გვხვდება არანაირი ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი იყო აღნიშნული ძეგლი ბაკურ კიღურაძის მიერ მის „განადგურებამდე". მაშინ როდესაც ალბათ მნიშვნელოვან საგულისმოა ის გარემოება რომ, ბაკურ კიღურაძე მრავალი წლების განმავლობაში ( 1985-1993 ) როგორც პროფესიონალი მშენებელი და არქიტექტორი ხელმძღვანელობდა ქ.თბილისის ძველი უბნებისა და შენობების რესტავრაციის სამმართველოს და რომ სწორედაც მისი მაღალ პროფესიული შრომის შედეგად ჩვენს აღდგენილი და შენარჩუნებული გვაქვს ქ. თბილისის მნიშვნელოვანი ისტორიული უბნები, ქუჩები ცალკეული შენობა ნაგებობები. შესაბამისად ბაკურ კიღურაძე არ და ვერ დააზიანებდა კულტურულ ძეგლს რამეთუ მისი პროფესიული ბიოგრაფიის დიდი ნაწილი სწორედაც ძეგლთა ზრუნვას არის მიძღვნილი.

ჟურნალისტის მიერ საკუთარი პროფესიული მოვალეობების არაჯეროვანი შესრულების საპასუხოდ, რაც გულისხმობს სიუჟეტის გასვლამდე გავრცელებული ინფორმაციის სულ მცირე გადამოწმებას საჯაროდ ხელმისაწვდომი არხების მეშვეობით, რაც თავის მხრივ არ გამოიწვევდა სიუჟეტის გასვლისას ჟურნალისტის მხრიდან ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულიდან დღემდე ქართული კულტურის განვითარებისათვის მიძღვნილი ნამუშევრების ეგვიპტურ ფარაონებში აღრევას, განგიმარტავთ, რომ 2017 წელს, შპს უტას საკუთრებაში გადაეცა რევაზ თაბუკაშვილის 27 ნომერში მდებარე ამორტიზებული უძრავი ქონება, რომლის სავალალო მდგომარეობაც განპირობებული იყო 2010 წელს, იმ პერიოდში მოქმედი ხელისუფლების ყოვლად გაუგონარი ქმედებების შედგად კულტურული მემკვიდრეობის სტატუსით მოსარგებლე უძრავი ქონების

უმეტესი ნაწილის ყოველგვარი სტანდარტების დაცვის გარეშე დემონტაჟით და ძეგლის ადგილას პოლიციის ახალი შენობის მშენებლობა ისეთ რიგად რომ არავისთან არასოდეს არ შეთანხმებულა არც ნგრევის პროცესი და არც ახალი მშენებლობის პროექტი. შესაბამისად, გავრცელებული ბრალდება რომ ბაკურ კიღურაძის მხრიდან მოხდა კულტურული მემკვიდრეობის ყოველგვარი ნიშნების განადგურება, აბსურდია რადგანაც ვერ და არ არის შესაძლებელი წაშალო ის რაც არც არასოდეს ყოფილა და რაზედაც ჩატარებულია სათანადო კვლევები შპს „უტა"-ს დაკვეთით.

მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 54-ე მუხლის მიხედვით, მაუწყებლები ვალდებული არიან უზრუნველყონ ფაქტების ზუსტი და სამართლიანი გაშუქება რასაც განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია მაუწყებლის მიერ არასრულად გავრცელებული ინფორმაცია ბაკურ კიღურაძის მიმართ, წარსულში წაყენებულ ბრალდებასთან დაკავშირებით იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ იმავდროულად არ მომხდარა მისი ჯაშუშობის ბრალდებისგან განთავისუფლების შესახებ ინფორმაციის გავრცელება. აღნიშნული გარემოება, რომელიც აშკარად მიუთითებს ტელეკომპანია ფორმულას მიერ გავრცელებულ ინფორმაციის შეუთავსებლობაზე კანონმდებლობით განსაზღვრულ სიზუსტის სტანდარტთან, შეუძლებელია ემსახურებოდეს რაიმე სხვა მიზანს გარდა იმისა, რომ დამამცირებელი, მტრული და ღირსების შემლახავი გარემო შეიქმნას ტელეკომპანიისა თუ ტელეკომპანიაში დასაქმებული კონკრეტული პირებისათვის მიუღებელი მოქალაქეების მიმართ. ნიშანდობლივია ის გარემოებაც, რომ ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც ტელეკომპანია ფორმულას ეთერში გასული სიუჟეტით, კონტექსტიდან ამოგლეჯილად ვრცელდება ინფორმაცია ბაკურ კიღურაძის ჯაშუშობის ბრალდების შესახებ, რაც ნათლად მიუთითებს ტელემაუწყებლობის მხრიდან არსებულ მტრულ დამოკიდებულებაზე. (იხ. ტელეკომპანია ფორმულას 2020 წლის 29 მაისი სიუჟეტი „ბაკურ კიღურაძე ერთ-ერთია შემწირველებს შორის, რომელმაც ქართული ოცნება 50 000 ლარით გაამდიდრა")

ბაკურ კიღურაძის მისამართით გავრცელებულ არასრულ ინფორმაციასთან ერთად საყურადღებოა სიუჟეტის ავტორის მიერ გაჟღერებული ფაქტებიც, რომლის მიხედვითაც ბაკურ კიღურაძე ჯაშუშობაში ბრალდებული პირია, (იხ. 2022 წლის 5 თებერვლის გადაცემა „შაბათის ფორმულა" 23წთ 32 წმ-დან) რაც აშკარა და უდაო ცილისწამებას წარმოადგენს მაშინ როდესაც ბაკურ კიღურაძის მიმართ არანაირი ბრალდება არ არსებობს, მეტიც მის მიმართ გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი და ის ნასამართლეობის არ მქონე პირის სტატუსით სარგებლობს, რომლის შესახებ ინფორმაციის გადამოწმებაც საჯარო გზებით შესაძლებელია.

ბაკურ კიღურაძის პიროვნების მიმართ არსებული ჯაშუშობის ბრალდების გარშემო გავრცელებული საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაცია უდაოდ ადგენს, რომ ეს უკანასკნელი არა თუ გამართლებულია წარსულში მის მიმართ წაყენებული ყოველგვარი ბრალისგან, არამედ რომ არა სახელმწიფოს კონკრეტული წარმომადგენლების

მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებები, ბაკურ კიღურაძის მიმართ აღნიშნულ ბრალდებას ბუნებაში არ უნდა ეარსება, შესაბამისად სულ მცირე არაეთიკურია მისი ჯაშუშობაში ბრალდებულის კონტექსტში მოხსენიება, არა თუ ახლანდელ დროში ბრალდების წაყენება.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა და ჟურნალისტური საქმიანობის სოციალური მნიშვნელობიდან გამომდინარე ჟურნალისტვისთვის განსაზღვრული პროფესიული სტანდარტი პროფესიის წარმომადგენელს გავრცელებული ინფორმაციის სიზუსტესთან ერთად ავალდებულებს მას ინფორმაციის სამართლიან გაშუქებას, შესაბამისად ფაქტების გავრცელება უნდა მოხდეს იმგვარად რომ ადგილი არ ჰქონდეს კონკრეტული პიროვნებებისა თუ პირთა ჯგუფის მიმართ უსამართლო დამოკიდებულებას როგორც უშუალოდ ინფორმაციის გავრცელების პროცესში, ასევე აღნიშნული ინფორმაციის გავრცელების შედეგად. როგორც ზემოთ აღინიშნა, რომ არა სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან განხორციელებული დანაშაულებრივი ქმედებები, ბაკურ კიღურაძის მიმართ წაყენებული ცრუ ბრალდება ბუნებაში ვერ იარსებებდა, შესაბამისად სამართლიანობის პრინციპი მინიმუმ მოითხოვს ბაკურ კიღურაძის გარშემო გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც წარსულში მის მიმართ წაყენებულ ბრალდებას ეხება შეიცავდეს ინფორმაციას მისი უდანაშაულობის და ოდესღაც წაყენებული ბრალდების უსაფუძვლობის შესახებ.

წინამდებარე მსჯელობიდან გამომდინარე ნათელია, რომ ტელეკომპანია ფორმულას გადაცემა შაბათის ფორმულაში გავრცელებული ინფორმაცია, არასრულსა და უსამართლოსთან ერთად, შეიცავდა აშკარა ცრუ ფაქტებს როდესაც ბაკურ კიღურაძე ჯაშუშობაში ბრალდებულად მოიხსენიეს, მისი განთავისუფლება კი ქართული ოცნების მიერ განხორციელებულ ქმედებად შერაცხეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოვითხოვთ, ტელეკომპანია ფორმულას მხრიდან, კანონმდებლობით განსაზღვრული წესით მოხდეს თაბუკაშვილის 27 ნომერში არსებული უძრავი ქონების მიმართ, ასევე ბაკურ კიღურაძის ჯაშუშობის ბრალდებასთან დაკავშირებით სრული და სამართლიანი ინფორმაციის გავრცელება იმ ინფორმაციის უარყოფასთან ერთად, რომლის მიხედვითაც ბაკურ კიღურაძე ჯაშუშობაში ბრალდებული პირია, მისი გათავისუფლება კი პოლიტიკური პარტია ქართული ოცნების ქმედებას წარმოადგენს.

კერძოდ:

გავრცელებულ ინფორმაციასთან ერთად, რომ ბაკურ კიღურაძის მიმართ წარსულში წაყენებული იყო ჯაშუშობის ბრალდება, გავრცელდეს ინფორმაცია მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის არსებობისა და გამამართლებელი განაჩენის შინაარსის შესახებ.

ინფორმაციის გავრცელება უძრავი ქონების რეალური მესაკუთრისა და უძრავი ქონების მდგომარეობის შესახებ.

პატივისცემით

გოჩა სვანიძე

დანართი:

1. 2018 წლის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატის გამამართლებელი განაჩენი.
2. ცნობა პოლიტ პატიმრის შესახებ
3. ცნობა ნასამართლეობის შესახებ
4. შპს უტას საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი თაბუკაშვილის 27 ნომერში მდებარე ქონებაზე.
5. მინდობილობა.

საქმე №06ს/1აგ-65-17



# განაჩენი
## საქართველოს სახელით

16 ივლისი, 2018 წელი — თბილისი

თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სისხლის სამართლის საქმეთა პალატა
შემდეგი შემადგენლობით:

თავმჯდომარე ნათია ბარბაქაძე
მოსამართლეები: მურმან ისაევი
მანუჩარ კაპანაძე

სხდომის მდივანი გიორგი კვახაძე;

სხდომის სახე - დახურული

ბრალდების მხარე:

პროკურორები - თინათინ მახარაძე, ემზარ გაგნიძე;

დაცვის მხარე:

მსჯავრდებული 2011 წლის 01 ივლისის განაჩენით - ზაკურ შალვას ძე კილურაძე, დაბადებული 1955 წლის 25 იანვარს, საქართველოს მოქალაქე, პირადი N01024016049, მცხოვრები: ქ.თბილისი, ფალიაშვილის ქუჩა N47ა;

ადვოკატები: ეკა ქობესაშვილი, გოჩა სვანიძე.

კვალიფიკაცია:

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლის პირველი ნაწილი (ჯაშუშობა ე.ი. საქართველოს ინტერესების საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის დავალებით საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების, ცნობების, სხვაგვარი მონაცემების და სხვა ინფორმაციის შეგროვება და გადაცემა).

…ული:

თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით.

## ა ღ წ ე რ ი ლ ო ბ ი თ - ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 07 მარტის განაჩენით, ბაკურ კიღურაძე დამნაშავედ იქნა ცნობილი მასში, რომ მან ჩაიდინა ჯაშუშობა ე.ი. საქართველოს ინტერესების საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის დავალებით საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი დოკუმენტების, ცნობების, სხვაგვარი მონაცემების და სხვა ინფორმაციის შეგროვება და გადაცემა.

განაჩენის მიხედვით, ბაკურ კიღურაძის მიერ დანაშაულის ჩადენა გამოიხატა შემდეგში: საქართველოს მოქალაქე ბაკურ კიღურაძემ 2002 წელს რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო სამსახურის დავალებით, მისივე ხელმძღვანელობით ჩამოაყალიბა „გლობალიზაციის ინსტიტუტი", სადაც გარკვეული გასამრჯელოს საფასურად მოიწვია ცნობილი მეცნიერმუშაკები, რომლებიც დაკავებულნი იყვნენ გლობალიზაციის პირობებსა და ეპოქაში საქართველოს როლის ადგილისა და პერსპექტივის განსაზღვრით. ძირითადი ყურადღება ეთმობოდა იმ ფაქტს, რომ საქართველოს, როგორც დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს, პრეტენზია უნდა განეცხადებინა ნეიტრალიტეტზე და ყველა სხვა სახელმწიფოსთან მიმართებაში ურთიერთობა წარემართა, როგორც ნეიტრალურ სახელმწიფოს. აღნიშნული შედიოდა რა რუსეთის ფედერაციის ინტერესებში, ბაკურ კიღურაძე რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლების დავალებით მეცნიერების მიერ შექმნილ ნაშრომებს უკეთებდა საკუთარ ინტერპრეტაციას და ინტერპრეტირებულ მასალებს დავალების შესაბამისად აგზავნიდა რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლებთან. ყოველივე აღნიშნულის შემდეგ კი, ხსენებული ნაშრომების განთავსება ხდებოდა რუსეთის ფედერაციის ექსპრეზიდენტ და ამჟამინდელი პრემიერ მინისტრის ვლადიმერ პუტინის ყოფილი მრჩევლის ალექსანდრე დუგინის კუთვნილ ინტერნეტ ვებ-გვერდზე. ვინაიდან ზემოხსენებული ნაშრომები წარმოადგენდა გლობალიზაციის ინსტიტუტისა და ბაკურ კიღურაძის საკუთრებას, მისი უშუალო ნებართვის გარეშე ვერანაირად მოხერხდებოდა მათი განთავსება ხსენებულ ვებ-გვერდზე. ამასთან „გლობალიზაციის ინსტიტუტი", როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი, ოფიციალურად არსად იყო რეგისტრირებული. 2002 წლიდან ბაკურ კიღურაძე სისტემატურ კავშირზე იმყოფებოდა რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო სამსახურის თანამშრომლებთან და დავალების შესაბამისად აგროვებდა და აწვდიდა მათ ინტერნეტკავშირისა და სხვა გამოძიებით ჯერჯერობით დაუდგენელი არხების საშუალებით სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს და სხვა სახის ინფორმაციას. კერძოდ: ეროვნული გვარდიის ქვედანაყოფებში მობილიზაციის ჩატარების გეგმებს, საბრძოლო და რაოდენობრივი ზრდის გრაფიკებს, ასევე სხვა საიდუმლო ინფორმაციებს, რასთან დაკავშირებითაც მოკლეტექსტური

...ობინების მეშვეობით გადასცემდა რუსეთის ფედერაციის სადაზვერვო ...მსახურს.

აღნიშნული ინფორმაცია შეიცავს საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის N42 ბრძანებულებით დამტკიცებულ ,,სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებულ ცნობათა ნუსხის 2.3, 2.3.12, 2.2.3, 1.1, 2.4.2, 2.4.3 და 1.1 პუნქტებით გათვალისწინებულ ცნობებს და ,,სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ" საქართველოს კანონის თანახმად მიიჩნევა სახელმწიფო საიდუმლოებად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 07 მარტის განაჩენით, ბაკურ კილურაძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლის პირველი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა - თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით.

ბაკურ კილურაძეს სასჯელის მოხდის ვადის ათვლა დაეწყო დაკავების დღიდან 2010 წლის 13 ივლისიდან.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 01 ივლისის განაჩენით მსჯავრდებულ ბაკურ კილურაძისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების გოჩა სვანიძისა და ირაკლი გრძელიძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2011 წლის 07 მარტის განაჩენი ბაკურ კილურაძის მიმართ დარჩა უცვლელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 18 ოქტომბრის განჩინებით მსჯავრდებულ ბაკურ კილურაძისა და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატების ირაკლი გრძელიძისა და გოჩა სვანიძის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2011 წლის 01 ივლისის განაჩენზე არ იქნა დაშვებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე განსახილველად.

2017 წლის 28 თებერვალს თბილისის სააპელაციო სასამართლოს შუამდგომლობით მომართა საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის პროკურორმა ემზარ გაგნიძემ, რომელმაც ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო, კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის ზ[1] ქვეპუნქტის საფუძველზე, მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 01 ივლისის განაჩენის გადასინჯვა.

შუამდგომლობის და საქმის მასალების მიხედვით დგინდება, რომ 2013 წლის 01 აპრილს საქართველოს მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტში დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის №074010413801 საქმეზე, პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ და პოლიტიკური ნიშნით დევნილ პირთა მიმართ განხორციელებული სამსახურებრივი

ებამოსილების გადამეტების ფაქტზე, საქართველოს სისხლის სამართლის დექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის იშნებით. შუამდგომლობის და დადგენილების მიხედვით, პროკურორი უთითებს, რომ ახალი გამოძიების პირობებში მოპოვებული მტკიცებულებების გაანალიზების და შეფასების შემდეგ, არათუ გამორიცხულია ბაკურ კილურაძის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის არსებობა, არამედ დადგენილია, რომ მის მიმართ წარმოებული გამოძიება არ არის სრულყოფილი და ობიექტური. შუამდგომლობის და დადგენილების მიხედვით, პროკურორი უთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ბაკურ კილურაძის უფლებების (თავისუფლების, პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობა) არსებითი დარღვევის ფაქტი არ იყო ცნობილი გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს. აღნიშნული უფლებების დარღვევის ფაქტი დადგენილი იქნა მხოლოდ ახალი გამოძიების პირობებში მოპოვებული ახალი მტკიცებულებებით, რაც ამტკიცებს ბაკურ კილურაძის უდანაშაულობას.

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 310-ე მუხლის ზ[1] პუნქტის თანახმად, განაჩენი ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო გადაისინჯება, თუ წარდგენილია პროკურორის დადგენილება მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ, რომელიც გადასასინჯი განაჩენის გამოტანის დროს ცნობილი არ იყო და თავისთავად ან/და სხვა დადგენილ გარემოებასთან ერთად ამტკიცებს მსჯავრდებულის უდანაშაულობას ან მის მიერ იმ დანაშაულზე უფრო მსუბუქი დანაშაულის ჩადენას, რომლისთვისაც მას მსჯავრი დაედო.

შუამდგომლობის, დადგენილების და სისხლის სამართლის N074010413801 საქმის მასალების საფუძველზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის განჩინებით, შუამდგომლობა დასაშვებად იქნა ცნობილი და დაინიშნა საქმის ზეპირი განხილვა.

პალატის მიერ შესწავლილი იქნა ახალი გამოძიების პროცესში მოპოვებული მტკიცებულებები, დაიკითხნენ მოწმეები, გამოკვლეული იქნა წერილობითი და ნივთიერი მტკიცებულებები. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2011 წლის 01 ივლისის განაჩენის გადასინჯვის ფარგლებში გამოიკვეთა გარემოებები, რაც არ იყო ცნობილი განაჩენის გამოტანის დროს, რის გამოც, პალატამ მიიჩნია, რომ უნდა გაუქმდეს გამამტყუნებელი განაჩენი ბაკურ კილურაძის მიმართ.

თავდაპირველად, პალატა მიუთითებს ბრალდების მხარის პოზიციაზე, რომლითაც ბაკურ კილურაძე უდანაშაულოა იმ ბრალდებაში, რისთვისაც 2011 წლის 01 ივლისს გამოტანილი იქნა გამამტყუნებელი განაჩენი. ბრალდების მხარემ, აღნიშნული პოზიციის დასადასტურებლად სასამართლოში წარმოადგინა მტკიცებულებები, რასაც დაეთანხმა დაცვის მხარე და ასევე ითხოვა გამამართლებელი განაჩენის გამოტანა.

დაკითხვისას, ბაკურ კილურაძემ განმარტა, რომ 2010 წლის 13 ივლისს დააკავეს, ხოლო გაასამართლეს 2011 წლის თებერვალში საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 314-ე მუხლის პირველი ნაწილით, სადაც მას ედავებოდნენ საიდუმლო დოკუმენტების გადაცემას, თუმცა საქმის მასალებში არ ჩანდა ვის რა გადასცა. მას დანაშაული არ უღიარებია არც ერთ ეტაპზე, ვინაიდან არ ჰქონია არასოდეს საიდუმლო მასალა და არც იცნობდა ისეთს, ვისაც აინტერესებდა რაიმე საიდუმლო მასალა. ის იყო ,,გლობალიზაციის ინსტიტუტის" დამფუძნებელი, სადაც შედიოდნენ მეცნიერები. ისინი იშვიათად, თვეში ერთხელ იკრიბებოდნენ და ამ შეკრებაზე საუბრობდნენ საინტერესო თემებზე. მათი ფიქრის საგანი იყო მათი ფუნქცია, საქართველოს როლი და ადგილი გლობალურ სივრცეში. შემდეგ შეეცადნენ ამის ქაღალდზე გადატანას, ხედვა ჰქონდათ ერთიანი, წინააღმდეგ შემთხვევაში დოკუმენტი ვერ შეიქმნებოდა, ხედვა იყო ცალსახა და არანაირი ევრაზიული. ქართული კანონმდებლობით არასამთავრობო ორგანიზაცია შეიძლება არ იყოს რეგისტრირებული, რაც დღესაც ასეა. რაც შეეხება „კავკასიური გეოსტრატას" ალექსანდრე დუგინის კუთვნილ ინტერნეტ ვებ-გვერდზე განთავსებას, მისთვის უცნობი იყო როგორც ასეთი ვებ-გვერდის არსებობის, ისე მასზე განთავსების შესახებ. ის არ იცნობს ალექსანდრე დუგინს და იმ ადამიანების ჯგუფთან არანაირი წვდომა არ აქვს. მისი განმარტებით, სასამართლო სხდომაზე დაიკითხა ვახტანგ მაისაია, რომელმაც განაცხადა, რომ მას ჰქონდა შეხვედრა და მწარე პოლემიკა ვარშავაში ამ ადამიანთან და აქედან შესაძლებელია მოხვედრილიყო კავკასიური გეოსტრატა დუგინის ხელში. მეცნიერული კვლევის პროცესში რაიმე გრანტი ან მსგავსი ფულადი დახმარება რუსეთის ფედერაციიდან ან სხვა ორგანიზაციიდან არასოდეს მიუღია. მისი აზრით, სახელმწიფოს ინტერესი მის მიმართ იყო პიროვნული და ქონებრივიც. ის ესწრებოდა მის ოფისში ჩატარებულ ჩხრეკას, რა დროსაც არ მისცეს ვინმესთან დალაპარაკების, ვინმეს დასწრების და წყლის მოწოდების უფლებაც კი, რაც აღნიშნული აქვს არაერთხელ, ვიდეოში კი კარგად ჩანს როგორ დააგდეს მაგიდაზე სიმ ბარათი, რომელიც შემდგომ აღმოჩნდა მნიშვნელოვანი მტკიცებულება, რომელზეც ჩაწერილი იყო ექვსი გზავნილი ვიღაცის მიმართ რუსულ ტელეფონის ნომერზე. სიმბარათის მესაკუთრის დადგენით გამოძიება არ დაინტერესებულა. სიმბარათი რეგისტრირებული იყო ვინმე გიორგი ფხაკაძეზე, სამტრედიის ქუჩა N10-ში. აღნიშნული მისამართი ბუნებაში არ არსებობდა, ხოლო პირადობის მოწმობის ნომერი, რომელიც მაგთიკომს ჰქონდა გატარებული, იყო ყალბი, რასთან დაკავშირებითაც არსებობს ცნობა. ჩხრეკა-ამოღების დროს სახლიდან წაღებული იქნა 24 დასახელების ელექტრონული მატარებელი, მათ შორის იყო პატარა ლეპტოპი. ამოღებიდან ნახევარ საათში ლომიძემ დაწერა, რომ იპოვა საიდუმლო მასალები სკანირებული კომპიუტერში და მიუთითა მისამართი სკანირებული მასალის. სასამართლოში დათვალიერების დროს, ლეპტოპის გახსნისას მასში სკანირებული მასალა არ აღმოჩნდა. განაჩენში ჩაიწერა, რომ აღმოჩენილი იქნა ვორდის დოკუმენტი, მაგრამ ეს ვორდის დოკუმენტი რამდენად შეესატყვისებოდა იმ ამობეჭდილ 700 გვერდს, ამის დასტური არავის არასოდეს გაუკეთებია.

ბაკურ კილურაძის გამამტყუნებელი განაჩენი ეფუძნებოდა სხვადასხვა მტკიცებულებებს, მათ შორის მოწმე ბესიკ ობოლაძის ჩვენებას.

ად გამოვლენილი გარემოების გამო განაჩენის გადასინჯვის სხდომაზე, მოწმე ესიკ ობოლაძემ განმარტა, რომ 2009 წლის მაისში, ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმეზე მოხდა მისი დაკავება. ბაკურ კიღურაძის საქმეზე კონტრდაზვერვის თანამშრომლები მასთან რამდენჯერმე იყვნენ შესულები ავჭალის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში, ღამის საათებში. ზეწოლის საფუძველზე მისგან ითხოვდნენ ისეთ ჩვენებას, სადაც გამოიკვეთებოდა ბაკურ კიღურაძის წვდომა საიდუმლო ინფორმაციასთან და ამ ინფორმაციების გადაცემის გზით მისი კავშირი რუსეთის სპეცსამსახურთან. მასზე ხორციელდებოდა ფსიქოლოგიური ზეწოლა. ეუბნებოდნენ, რომ ვახტანგ მაისაიას ბრალი დაუდასტურდა, ხოლო ბაკურ კიღურაძე იყო ჯაშუში. თხოვდნენ დადასტურებას და მაგიდაზე დაუდეს რაღაცეები, რასაც მკაცრად გაემიჯნა, რადგან ბაკურ კიღურაძე არ მუშაობდა ისეთ დაწესებულებაში, რომ ხელმისაწვდომი ჰქონოდა სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია. მასზე განხორციელებული ზეწოლის შედეგია კონტრდაზვერვის დეპარტამენტის თანამშრომლის ფორმულირებით მიცემული ჩვენება. მისი ჩვენებები „დაჩეხეს". ჩვენება არ დაწყებულა და არ დასრულებულა იმ დღეს, რომელიც მითითებულია ჩვენებაში, არამედ იწერებოდა კვირების მანძილზე, თუმცა თარიღის და შესაბამისი რეკვიზიტების მიუთითებლად. აჩვენეს დუგანის გვერდიდან ამონაწერი, რაც მან პირველად ნახა იქ და გააკეთა შეფასება. მოწმემ არ დაადასტურა ინფორმაცია, რომ ბაკურ კიღურაძე 2001-2004 წლებში დადიოდა რუსეთში და ჩამოიტანა დაფინანსება.

სხდომაზე დაიკითხნენ ის პირები, რომლებსაც შეხება ჰქოდათ ბესიკ ობოლაძესთან იმ პერიოდში, როდესაც ჩვენება იქნა ჩამორთმეული. ერთ-ერთი პირია მირზა ბექანიძე, რომელიც მითითებულ პერიოდში მუშაობდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის N10 ავჭალის დაწესებულებაში, ოპერატიული მორიგის პოზიციაზე. მოწმის განმარტებით, იყო პერიოდი, როდესაც დირექტორის ან მოადგილის მოთხოვნით, ღამის საათებში პატიმრები აყავდათ ადმინისტრაციის ტერიტორიაზე რეგისტრაციის გარეშე.

ანალოგიური დაადასტურა მოწმე ზვიად ასვანუამ, რომელიც მუშაობდა სასჯელაღსრულების N10 ავჭალის დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების ოფიცრად. მისი განმარტებით, ზოგჯერ, ღამის საათებში დაწესებულებაში შედიოდნენ სტუმრები, რომლებთანაც ხდებოდა გარკვეული პატიმრების შეხვედრა, რაც დაწესებულების შინაგანაწესის თანახმად ითვლებოდა დარღვევად.

სხდომაზე გამოქვეყნდა ამავე დაწესებულების დირექტორის ყოფილი მოადგილის შოთა მახარაშვილის გამოკითხვის ოქმი, რომლის თანახმად, ბესიკ ობოლაძის ნახვის მიზნით დაწესებულებაში ღამის საათებში რამდენჯერმე იყვნენ შესულები შსს კონტრდაზვერვის თანამშრომლები. პატიმართან შეხვედრები ხდებოდა დაწესებულების ადმინისტრაციულ შენობაში, მისი ან და მისი ოთახის გვერდით მდებარე კაბინეტში.

ის საათებში ბესიკ ობოლაძის საკნიდან გაყვანის ფაქტს ადასტურებენ მოწმის ხით დაკითხული ბესიკ ობოლაძის თანასაკნელები: თორნიკე საჯაია და დავით გორგაძე. მათი განმარტებით, ბესიკ ობოლაძე რამდენჯერმე, ხანგრძლივი ვადით გაიყვანეს საკნიდან ღამის საათებში. დაბრუნებისას ბ.ობოლაძეს ეტყობოდა, რომ იყო დათრგუნული, რაზეც არ საუბრობდა. როგორც შემდეგ მათთვის გახდა ცნობილი, ბ.ობოლაძემ მიიღო გარკვეული შეღავათები და მოგვიანებით გათავისუფლდა პატიმრობიდან.

„გლობალიზაციის ინსტიტუტის“ კვლევის მიზანზე და მიმართულებაზე განმარტებები მისცეს სასამართლოს მოწმის სახით დაკითხულმა ვახტანგ მაისაიამ, გიორგი გოგსაძემ, ლელა ფირალიშვილმა და მამუკა ჭოხონელიძემ.

ვახტანგ მაისაიას ჩვენებით, ბაკურ კიღურაძესთან ერთად გადაწყვიტა გლობალიზაციის კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის შექმნა. შემუშავდა გეოპოლიტიკური კონცეფცია „კავკასიური გეოსტრატა“, რომელიც შემდეგ გამოიცა წიგნის სახით. წიგნის გამოცემამდე მოხდა ნაშრომის ტირაჟირება სხვადასხვა საშუალებებით, მათ შორის საერთაშორისო კონფერენციებზე მოხსენებების გაკეთებით. კონცეფციაზე მუშაობისას რაიმე სახის ფინანსური ანაზღაურება მონაწილე პირებს არ მიუღიათ. ისინი შეთქმულების თეორიას არ ეწეოდნენ, ეს იყო კვლევითი მიმართულება და პროექტის შექმნაში დიდი შრომა ჩადეს. ვახტანგ მაისაიამ გამორიცხა მათ მიერ შექმნილ დოკუმენტში სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი მასალის არსებობა. მისი ჩვენებით, კვლევა მის საქმეშიც იდო, რაც არ იყო საიდუმლო, ხოლო დღეის მდგომარეობით, რამდენიმე უმაღლეს სასწავლებელში სპეციალური სასწავლო კურსით მიმდინარეობს მისი სწავლება.

გიორგი გოგსაძის ჩვენებით, ბაკურ კიღურაძის თხოვნით მონაწილეობა მიიღო პროექტში, სადაც რამდენიმე ექსპერტთან ერთად მუშაობდა ანაზღაურების გარეშე. კვლევის მიზანს წარმოადგენდა რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გავლენა კავკასიაზე და კონკრეტულად საქართველოზე. შექმნის იდეა ეკუთვნოდა ბაკურ კიღურაძეს. შეიქმნა კონცეფცია „კავკასიური გეოსტრატა“, სადაც აღიწერა მათი მუშაობის შედეგები და რომელიც არანაირ საიდუმლო მასალას არ შეიცავდა. მოწმემ გამორიცხა მისი მოსაზრების ბაკურ კიღურაძის მხრიდან ინტერპრეტირება.

მოწმე მამუკა ჭოხონელიძემ დაკითხვისას განმარტა, რომ 2002-2003 წელს მას ეკავა საქართველოს უშიშროების სამინისტროს ღია წყაროების ანალიზის ბიუროში განყოფილების უფროსის თანამდებობა. ბესიკ ობოლაძის მეშვეობით დაუკავშირდა ბაკურ კიღურაძეს, რომელთანაც მოგვიანებით დაიწყო მუშაობა და მართავდა ადმინისტრაციულ საკითხებს. ინსტიტუტში მიდიოდნენ სხვადასხვა დარგის მეცნიერები. საბოლოოდ ჩამოყალიბდა კონცეფცია, რაც წარმოადგენდა მათი მოსაზრებების შეჯამებას. კვლევა დაიბეჭდა ღიად და არ შეიძლება ყოფილიყო საიდუმლო. საერთოდ არ ახსოვს, რომ ბაკურ კიღურაძე საზღვარგარეთ გასულიყო, არათუ მისი კავშირები რუსეთის ფედერაციის საგარეო დაზვერვის სამსახურებთან.

ფირალიშვილის განმარტებით, იმ პერიოდში, ბაკურ კიღურაძემ მეცნიერებს სკუსიო სივრცე შესთავაზა. ბაკურ კიღურაძის მხრიდან რაიმე მითითებას დგილი არ ჰქონია. მონაწილეები იყვნენ საკუთარი კონცეფციების ავტორები, რაშიც არანაირ ანაზღაურებას არ ღებულობდნენ. შექმნილი კონცეფცია შემდეგ გამოიცა წიგნის სახით.

ახალი გამოძიების პროცესში ჩატარდა კომპლექსური, ჰაბიტოსკოპიური და ფონოსკოპიური ექსპერტიზა. დასკვნის თანახმად (N01/105-ს დასკვნა),

- ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარდგენილ მასალაში (სს N081100011 საქმის ტომში (272 გვ.) მოთავსებული CD დისკი, სადაც ჩაწერილია ბაკურ კიღურაძის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ამსახველი ვიდეო ფაილი, აღბეჭდილნი არიან გამოსაკვლევად წარდგენილ CD დისკზე ჩაწერილი შემდეგი პირები: ვიდეომასალაზე სავარაუდოდ აღბეჭდილია არჩილ გვადიბაძე და ზვიად გორელიშვილი, ვიდეომასალაზე აღბეჭდილია ვლადიმერ დათაშვილი და ბაკურ კიღურაძე.

- ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარდგენილ მასალაში (სს N081100011 საქმის I ტომში (303 გვ.) მოთავსებული DVD დისკი, სადაც ჩაწერილია შპს „ნიბა ინვესტის" ჩხრეკის ამსახველი ვიდეო ფაილები, აღბეჭდილნი არიან გამოსაკვლევად წარდგენილ CD დისკზე ჩაწერილი შემდეგი პირები: ვიდეომასალაზე სავარაუდოდ აღბეჭდილია ბაკურ კიღურაძე, არჩილ გვადიბაძე და ზვიად გორელიშვილი, ვიდეომასალაზე აღბეჭდილია ვლადიმერ დათაშვილი.

- ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარდგენილ მასალაში (სს N081100011 საქმის I ტომში (272 გვ.) მოთავსებული CD დისკი, სადაც ჩაწერილია ბაკურ კიღურაძის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ამსახველი ვიდეო ფაილი და ექსპერტიზაზე გამოსაკვლევად წარდგენილ მასალაში I ტომში (303 გვ.) მოთავსებული DVD დისკი, სადაც ჩაწერილია შპს „ნიბა ინვესტის" ჩხრეკის ამსახველი ვიდეო ფაილები დაფიქსირებული არიან ერთი და იგივე პირები, კერძოდ: ორივე ვიდეომასალაზე სავარაუდოდ დაფიქსირებულია ბაკურ კიღურაძე, არჩილ გვადიბაძე და ზვიად გორელიშვილი.

- ბაკურ კიღურაძის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ამსახველ მასალაში გამოსახულების მიხედვით დაფიქსირებულია ექვსი პიროვნება, კერძოდ, დადგინდა, რომ გამოსახულები არიან ვლადიმერ დათაშვილი და ბაკურ კიღურაძე, ასევე სავარაუდოდ არჩილ გვადიბაძე და ზვიად გორელიშვილი, ხოლო ორი პირის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა.

- ბაკურ კიღურაძის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ამსახველ მასალაში სიმბარათის მსგავსი ვიზუალური მონაცემების მქონე საგნის ამოღება ხდება პიჯაკის შემოწმების დროს ზვიად გორელიშვილის მსგავსი ვიზუალური მონაცემების მქონე პირის მიერ პიჯაკის უკანა მხრიდან მარჯვენა ხელის მოძრაობის შემდეგ. ამოღებისას ის არ დევს მოყავისფრო ფერის რაიმე ნივთში. გამომდინარე იქიდან, რომ

...რათის მსგავსი ვიზუალური მონაცემების მქონე საგანზე არ იკითხება ...წერები, ვერ დადგინდა წარმოადგენს თუ არა იგი კომპანია ,,მაგთიკომის" სიმბარათს.

- ბაკურ კილურაძის კუთვნილი შპს ,,ნიბა ინვესტის" ოფისის ჩხრეკის ამსახველ მასალაში გამოსახულების მიხედვით დაფიქსირებულია რვა პიროვნება, რომელთაგან ერთი არის ვლადიმერ დათაშვილი, ასევე სავარაუდოდ ბაკურ კილურაძე, არჩილ გვადიბაძე და ზვიად გორელიშვილი, ხოლო სამი პირის იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა.

- აუდიტორულ-ლინგვისტური გამოკვლევის თანახმად, ვიზუალური და პერცეფციული ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ყველა ვიდეოჩანაწერი იწყება და მთავრდება წყვეტით, რაც შეეხება წყვეტებს შორის მონაკვეთებს, ისინი მთლიანია და მათზე არ აღინიშნება რაიმე სახის მონტაჟის კვალი, ლინგვისტური კვლევისას კომუნიკანტთა მეტყველებაში აღინიშნება კითხვა-პასუხის შინაარსობრივი შესატყვისობა, ლექსიკური თანმიმდევრობა, ბუნებრივი ინტონაციური სურათი.

- კომპლექსური ვიზუალური აუდიტორულ-ლინგვისტური, სიტუაციურ-ლოგიკური და ინსტრუმენტული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ ჩანაწერებზე არ აღინიშნება რაიმე სახის მონტაჟის კვალი, ისინი დამზადებულია ერთი და იგივე დღეს, ერთსა და იმავე ადგილას, ერთი და იგივე ჩამწერი მოწყობილობით, ხოლო დამზადებულია ცალ-ცალკე სიუჟეტების სახით და შესაბამისად წარმოდგენილია ნაწყვეტების სახით, ყოველი ჩანაწერის ბოლოს ხდებოდა ჩამწერი მოწყობილობის დაპაუზება და გამორთვა.

- ჩატარებული კვლევების შედეგად დადგინდა, რომ ბაკურ კილურაძის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ამსახველ მასალაში და შპს ,,ნიბა ინვესტის" ჩხრეკის ამსახველ ვიდეო ჩანაწერში აღბეჭდილია ვლადიმერ დათაშვილი.

- ბაკურ კილურაძის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ამსახველ მასალაში და შპს ,,ნიბა ინვესტის" ჩხრეკის ამსახველ ვიდეო ჩანაწერში ვერ იქნა მოძიებული გიორგი მაზმიშვილის და ირაკლი თავაძის მსგავსი ვიზუალური მონაცემების მქონე პირების გამოსახულება.

- ბაკურ კილურაძის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ამსახველ მასალაში ზვიად გორელიშვილის მსგავსი ვიზუალური მონაცემების მქონე პირი, კადრში დაფიქსირებულია უკიდურეს მარჯვენა მხარეს. მას აცვია მუქი ფერის შარვალი და მუქი ფერის მოკლე სახელოებიანი მაისური, იგი ჩანაწერის დაწყებიდან დაახლოებით 02 წუთსა და 20 წამზე ხელის მოძრაობას აკეთებს უკან, შარვლის მიდამოში, ხელის უკან დაბრუნების დროს მის მარცხენა ხელში ფიქსირდება მართკუთხა ფორმის საგანი. იგი ამ საგანს იჭერს ორივე ხელით და მიდის მარჯვნივ და გადის კადრიდან. იგი დაახლოებით 2 წუთსა და 36 წამზე ბრუნდება კადრში, მას ორივე ხელები დაწყობილი აქვს უკან შარვლის სათავის მიდამოში იგი მიემართება

დრის მარცხნივ, მას მარცხენა ხელის მტევანი აქვს გაშლილი ხოლო მარჯვენა ნახევრად მოხრილ მდგომარეობაში. იგი მიემართება ოთახში მარცხნივ მდგარი მაგიდისაკენ. მარჯვენა ხელით იღებს მაგიდასთან არსებულ სავარძელზე გადაკიდებულ პიჯაკს და მარცხენა ხელით იწყებს მის შემოწმებას. შემდგომ ანაცვლებს ხელს და მარჯვენა ხელით ამოწმებს პიჯაკს (ხელის მოძრაობა კადრში არ ჩანს, ხელი იმყოფება პიჯაკის მიღმა) შემდგომ მიემართება ოთახის მარჯვენა მხარეს მდგარი მაგიდისკენ, პიჯაკიდან იღებს ხურდა ფულს და დებს მაგიდაზე, მარჯვენა ხელით ისევ აგრძელებს პიჯაკის შემოწმებას, იღებს იქიდან კიდევ რაღაც ნივთს (მცირე ზომის ხელში არ ჩანს) და დებს მაგიდაზე. შემდგომ ისევ აგრძელებს პიჯაკის შემოწმებას. 03 წუთსა და 50 წამზე იგი პიჯაკის მხრიდან მაგიდაზე დებს ღია ფერის მართკუთხა ფორმის მცირე ზომის საგანს. ამ საგანს ხელს კიდებს მაგიდასთან მჯდომი ბაკურ კილურაძის მსგავსი ვიზუალური მონაცემების მქონე პირი და კითხულობს ,,ეს რა არის" და ისევ დებს მაგიდაზე.

- ბაკურ კილურაძის კუთვნილი შპს ,,ნიბა ინვესტის" ჩხრეკის ამსახველ მასალაში ვიდეოგამოსახულებაზე ასახული პირი, რომელიც ვიდეოგრამაზე მოქმედებს ჩხრეკის ამსახველი პირველი ვიდეო ფაილის (M2U00181 Cxreka) 13:01 წუთიდან, არის მსუქანი, საშუალო სიმაღლის, მას ტანთ აცვია მოშავო შეფერილობის მოკლესახელოებიანი პერანგი და მორუხო ფერის შარვალი. იგი ჩანაწერის დაწყებიდან დაახლოებით 13 წუთსა და 01 წამზე იწყებს მის წინ არსებულ სკამის საზურგეზე შემოცმული ღია ფერის პიჯაკის შემოწმებას საზურგიდან მოუხსნელად. ამ პირს ხელში უჭირავს ღია შეფერილობის მართკუთხა ფორმის თითქმის ხელისგულისოდენა საგანი, რომელიც შემოწმების პროცესში მარჯვენა ხელიდან გადააქვს მარცხენა ხელში. იგი ასევე ამოწმებს ღია ფერის პიჯაკის შიგნით არსებულ მეორე მუქი ფერის პიჯაკს და ჩანაწერის დაწყებიდან დაახლოებით 13 წუთსა და 14 წამზე ასრულებს პიჯაკების შემოწმებას და სცილდება მათ და მიემართება კამერის მიმართულებით, კამერაც ბრუნდება და ჩანაწერის ბოლოს კადრში ასახულია მაგიდა, რომელთანაც მიდის პიჯაკების შემმოწმებელი პირი.

- ბაკურ კილურაძის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ამსახველ მასალაში პიჯაკის შემოწმებას შემმოწმებელმა პირმა ჩანაწერში ასახული გამოსახულების მიხედვით მოანდომა დაახლოებით 01 წუთი და 10 წამი, ხოლო ბაკურ კილურაძის კუთვნილი შპს ,,ნიბა ინვესტის" ოფისის ჩხრეკის ამსახველ მასალაში პიჯაკის შემოწმება გაგრძელდა დაახლოებით 13 წამი.

დადგენილია, რომ ბაკურ კილურაძის სისხლის სამართლის საქმეში, თარჯიმნად მონაწილეობას ღებულობდა ეთერ ნოზაძე. დადგენილებით თარჯიმნის მოწვევის შესახებ, 2010 წლის 14 ივლისს ინგლისურიდან ქართულ ენაზე თარგმნა დაევალა თარჯიმან ეთერ ნოზაძეს, რომელიც გაფრთხილდა შეგნებულად არასწორი თარგმანისათვის პასუხისმგებლობის და სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული მასალების გაუმჟღავნებლობის თაობაზე.

ახლად გამოვლენილ გარემოებათა გამო განაჩენის გადასინჯვის ფარგლებში, სააპელაციო სასამართლოში მოწმის სახით დაიკითხა ეთერ ნოზაძე. მისი ჩვენებით,

წლის მდგომარეობით იყო თარჯიმანი და ეწეოდა მთარგმნელობით …ქმიანობას. 2010 წლის ივლისის თვეში დაუკავშირდა ახლობელი, შეთავაზებას დათანხმდა და მივიდა მოდულის შენობაში. ვლადიმერ დათაშვილმა და ვალერი ზუმბაძემ, რომლებიც იქ დახვდნენ, უთხრეს, რომ იყო დიდი მოცულობის მასალა და მალე უნდა ეთარგმნა. იმავე დღეს შეიყვანეს ოთახში, სადაც მის გარდა იყო 4 პირი და დაიწყო თარგმნა. მასალა იყო სამხედრო ხასიათის. მოგვიანებით მოხდა გაფრთხილება ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის თაობაზე. რამდენჯერმე მივიდა მოდულის შენობაში. დოკუმენტები სრულად არ უთარგმნია, რადგან უთხრეს, რომ ეთარგმნა ის, რაც საჭირო იყო. ეს მასალა იყო კომპიუტერში ვორდის ფაილით. მთლიანობაში მის მიერ მოხდა დაახლოებით 130 გვერდის თარგმნა. ამის შემდეგ კვლავ დაუკავშირდნენ აგვისტოს თვეში და უთხრეს, რომ გაურკვეველი იყო თარგმანი რა ნაწილს ეხებოდა, რის გამოც თარგმნა სრულად. ეთერ ნოზაძემ დაადასტურა მისი ხელმოწერების ნამდვილობა თარჯიმნის მოწვევის დადგენილებაზე და ვალდებულებაზე გაუმჟღავნებლობის შესახებ.

ბრალდების მხარემ მტკიცებულების სახით წარმოადგინა საქართველოს სახელმწიფოს უსაფრთხოების სამსახურიდან გამოთხოვილი 2016 წლის 7 ივლისის წერილი - MIA 01601681525, რომელშიც მითითებულია საშვთა ბიუროს მოქალაქეთა რეგისტრაციის ელექტრონულ ბაზაში არსებული ინფორმაცია ვაჟა-ფშაველას N72-ში (ე.წ. მოდულის შენობა) მოქალაქე ეთერ ნოზაძის ვიზიტები. ივლისის თვეში პირველი ვიზიტი დაფიქსირებულია 2010 წლის 12 ივლისს 14:11 საათიდან 18:08 საათამდე. შემდეგი ვიზიტები კი 2010 წლის 15 ივლისს 12:01 საათიდან 18:31 საათამდე, 16 ივლისს 11:11 საათიდან 19:02 საათამდე, 19 ივლისს 12:16 საათიდან 19:29 საათამდე და 21 ივლისს 11:22 საათიდან 20:39 საათამდე.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტის 2016 წლის 6 ოქტომბრის N7/01/9/2-9098-ს წერილის თანახმად, 2010 წლის განმავლობაში, ეთერ ნოზაძე მიწვეული იქნა შსს კონტრდაზვერვის დეპარტამენტში სისხლის სამართლის N081100011 საქმის მასალების სათარგმნელად.

რაც შეეხება სიმბარათის მონაცემებს, შპს „მაგთიკომის" 2013 წლის 12 ივნისის წერილის საფუძველზე დგინდება, რომ სიმბარათი ნომრით 599920536 რეგისტრირებულია გიორგი ფხაკაძის სახელზე (მითითებულია შესაბამისი რეკვიზიტები). ამავე წერილში მითითებულია, რომ აღნიშნული ნომრის რეალიზაცია მოახდინა შპს „მაგთიკომის" დილერმა დავით ბრეგვაძემ, 2010 წლის 16 აპრილს. დაკითხვისას დავით ბრეგვაძემ განმარტა, რომ მითითებულ პერიოდში იყო შპს „მაგთიკომის" დილერი და „მაგთის" პროდუქციით ამარაგებდა ათეულობით მაღაზიას. მისთვის უცნობია თუ რომელი მაღაზიის და ვის მიერაა გასხვისებული 599920536 სიმბარათი.

ახალი გამოძიების პროცესში მოპოვებულმა მტკიცებულებებმა, პალატის მოსაზრებით, ეჭვის ქვეშ დააყენა იმ ბრალდების საფუძვლიანობა, რომელშიც ბაკურ კილურაძე დამნაშავედ იქნა ცნობილი. კერძოდ:

მოწმეების: ბესიკ ობოლაძის, მირზა ბეჟანიძის, ზვიად ასვანუას, თორნიკე საჯაიას და დავით გორგაძის ჩვენებები, შოთა მახარაშვილის გამოკითხვის ოქმთან ერთად, ეჭვს ბადებს ბესიკ ობოლაძის იმ ჩვენებების უტყუარობაში, რაც ერთ-ერთ საფუძვლად დაედო გამამტყუნებელ განაჩენს.

2. ბაკურ კიღურაძის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულება (ერთ-ერთ კომპიუტერში აღმოჩენილი სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ინგლისურენოვანი მასალები) გამოძიების მიერ ჩხრეკის შედეგად ამოღებულ იქნა 2010 წლის 13 ივლისს, მაშინ, როცა მოწმე ეთერ ნოზაძემ დაადასტურა, რომ ინგლისურენოვანი მასალების თარგმნა დაიწყო მისვლის პირველივე დღიდან, ანუ 2010 წლის 12 ივლისიდან.

3. ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით, ბაკურ კიღურაძის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ამსახველ ვიდეოფაილიდან არ დგინდება, რომ სიმბარათის მსგავსი ვიზუალური მონაცემების მქონე საგნის ამოღება ხდება ბაკურ კიღურაძის კუთვნილი ნაცრისფერი შარვლის წინა მარცხენა ჯიბიდან ამოღებული მოყავისფრო სავიზიტო ბარათების შესანახიდან, როგორც ეს მითითებულია საქმეში არსებულ ეჭვმიტანილის დაკავებისა და პირად ჩხრეკის ოქმში. ამოღება ხდება პიჯაკის შემოწმების დროს ერთ-ერთი პირის მიერ პიჯაკის უკანა მხრიდან მარჯვენა ხელის მოძრაობის შემდეგ და ამოღებისას ის არ დევს მოყავისფრო რაიმე ნივთში.

4. სიმბარათი რეგისტრირებულია ვინმე გიორგი ფხაკაძის სახელზე, თუმცა მესაკუთრის იდენტიფიცირება, წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, ვერ მოხერხდა.

